

ლადო მრელაშვილის „სამი ღამის თავგადასვლის“ ზოგიერთი ენობრივი მახასიათებელი

ფილამვილი ელენე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი
<https://doi.org/10.52340/idw.2025.38>

აბსტრაქტი. მწერლის დანიშნულება მისი თანამედროვე ცხოვრების მხატვრული ასახვაა. იგი გვიხატავს გარემოს და გვაზიარებს პერსონაჟის სულიერ სამყაროს მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებითა და ენობრივი მახასიათებლებით.

მწერალმა ხალხური, სასაუბრო ლექსიკით, დიდი სიტხითო და სიყვარულით, სხარტი, მოსხლეტილი წინადადებებით შეძლო მკითხველის დაინტერესება. მის პროზას ახასიათებს ფსიქოლოგიურ-ემოციური განცდის გამომხატველი ტროპები, დიალოგური მეტყველება.

ლადო მრელაშვილის „სამი ღამის თავგადასვლის“ ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანდობლიობაა ზმნათა სიუხვე, რომელიც ხალხური, სასაუბრო ენის წიაღიდან მომდინარეობს და ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობით ფუნქციას ანიჭებს, ზოგჯერ ზმნა-შემასმენელი მეტაფორამდეა აყვანილი („მთების უბეებში კიაფობდნენ კენტ-კენტად დანთებული ცეცხლები“; „ელვის ნამსხვრევები ფხრეწდნენ ცას და ქარი ისევ ცელავდა წვიმას“).

ლადო მრელაშვილის პროზაში დიდი ოსტატობითაა შერჩეული ორიგინალური შესიტყვებები: „მაწანწალა ნიავი“, „ნამყენი კურდღელი“, „დარბაისელი ცხენი“, „დაკარწახებული ბიჭები“, „ღამის საყარი“, „იდუმალი შრიალი“ „მოჭიატე თვალები“ „ირიზად გაბმული წვიმის გამჭვირვალე ღარები“.

მწერლის ენა ტროპული მეტყველების ნიმუშებითაც გამოირჩევა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია შედარება, მწერალი სხვადასხვა მაკავშირებლით (-ვით, -ებრ, -ოდენა, თითქოს, როგორც და სხვა.) ქმნის შესანიშნავ სახეებს და ემოციურად ტვირთავს სათქმელს.

ლადო მრელაშვილის ენა ყურადღებას იპყრობს სემანტიკური თავისებურებით, სიტყვათქმნადობით, ამოუწურავი სიტყვათა მარაგით. მწერალს სიტყვათქმნადობის საფუძველზე შედგენილი აქვს სემანტიკურად და სტრუქტურულად განსხვავებული როგორც ფუძის გაორეებით, ისე სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: „ფუთფუთით“, „დოინჯშემოყრილი“, „თვალმრუდე“, „ხელმრუდე“, „საცრისოდენათვალებიანი“, „ღმერთგამწყრალი“, „ცხვირპირდალეწილი“.

მწერლის ენაში დიდი ემოციური ძალისა და ექსპრესიული დატვირთვის მქონეა ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომელიც მეტად პროდუქტიულ ერთეულს წარმოადგენს მხატვრული ტექსტის შესაქმნელად, ფრაზეოლოგიზმებით იგი ქმნის მხატვრულ პორტრეტებს, სადაც იგრძნობა მწერლის მახვილგონივრული იუმორი და სიბრძნე: „კუდზე ცოცხი მოაბეს“, „ჭკუაში დაუჯდა“ „სულიერი არ ჭაჭანებს“, „ეშმაკს მაინც არ სძინავს“.

ცხადია, ლადო მრელაშვილის ენა მდიდარ, ქართულ-ხალხურ ლექსიკაზეა დაფუძნებული. იგი ხალხური ენის წიაღიდან იღებს სათავეს და ნაირფეროვნებით ხასიათდება, რაც ენობრივ-სტილური მრავალფეროვნების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ლადო მრელაშვილი, ენობრივი მახასიათებელი, სტილი, ორიგინალური შესიტყვება, ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

მწერლის დანიშნულება მისი თანამედროვე ცხოვრების მხატვრული ასახვაა. იგი გვიხატავს გარემოს და გვაზიარებს პერსონაჟის სულიერ სამყაროს მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმებითა და ენობრივი მახასიათებლებით.

იყალთოელი მწერალი ლადო მრელაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან გამოდის. მისი პროზა სავსეა ყოველდღიური ყოფითი პრობლემებითა და ადამიანის შინაგანი განცდებით, რაც კარგადაა გადმოცემული ენობრივი ფორმებით. მოთხრობა „სამი ღამის თავგადასავალი“ დაწერილია ცოცხალი, სასაუბრო მარღვიანი ენით, თბილი და ხალასი იუმორით.

მწერალმა ხალხური, სასაუბრო ლექსიკით, დიდი სიტბოთო და სიყვარულით, სხარტი, მოსხლეტილი წინადადებებით შეძლო მკითხველის დაინტერესება: **„გარეთ საუცხოო სიგრილეა. სიმინდები სასიამოვნოდ შმაშურობენ. აგვისტოს მოწმენდილი ცა გადმომხოზია ალაზნის პირს. ხვანჭასავით მიყრილი ვარსკვლავები მხიარულად მიპაჭუნებენ თვალებს. დროდადრო რომელიმე მათგანს აიტაცებს ხუნტრუცის ჟინი, მოსხლეტით მოწყდება ალავერდის მხრიდან, ელვასავით გადასერავს ალაზანს და ალვისკენ დაინთქმება“** (მრელაშვილი; 1987: 212) აქ ავტორმა მეტწილად გამოიყენა მარტივი წინადადებები, მიზანმიმართულად მეტაფორამდე აიყვანა ზმნა-შემასმენელი ბუნების სიმშვენიერის გადმოსაცემად.

ლადო მრელაშვილი პროზას ახასიათებს ფსიქოლოგიურ-ემოციური განცდის გამომხატველი ტროპები: **„პირს ვეცემი, მიწას ყურს ვუგდებ და ვქვავდები. გვრძნობ, რომ ყურები თანდათან მეზრდება. ისეთი სისწრაფითა და დაჟინებით მეზრდება, რომ მალე ალბათ სიმინდებს მისწვდება“**.

ლადო მრელაშვილის პროზისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა დიალოგური მეტყველება, სადაც ნათლად იკვეთება ყოველდღიური ყოფითი პრობლემები:

„-იპოვე?

- აქაურობა სულ მოვიარე და ვერსად დავკარი თვალი.

- შინ წავიდოდა.

- არ იცის შინ წასვლა.

- სიმინდებში შევიდოდა სადმე.

- არც სიმინდებშია.

- ვიმნე ალავერდელი დაიჭერდა. შეიძლება სადმე ბოსტანში გადავიდა.

- ბოსტანში რა უნდოდა, გარეთ ამოდენა ბალახი და სიმინდია.

- ხშირად იცის გაპარვა?

- მოუკვდა გამომცემელი, ერთი ეგა აქვს ცუდი ზნე, თორემ სხვაფრივ კარგი ცხენია.

- ახლა რა უნდა ჰქნა?

- ჩემი დარჩენა მინდოდა არ შეიძლება, ამაღამ უნდა შინ ავიდე.

- ფეხით?

- ფეხით რათა. შენი ცხენი მათხოვე და დილაზე ჩამოგიყვან.

- სიამოვნებით გათხოვებდი, მაგრამ გაშვებული მყავს და, ვინ იცის, ალაზნის რომელ მხარეს არის მოქცეული.

- რომ ვიპოვო, მათხოვებ?

- თუ ამაღამ შენ იმას იპოვი, გათხოვებ კი არა, თუ გინდა, გაჩუქებ.

- ვაჟკაცურად ამბობ?

- ვაჟკაცურად“ (მრელაშვილი; 1987: 215-216).

ლადო მრელაშვილის „სამი ღამის თავგადასვლის“ ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანდობლიობაა ზმნათა სიუხვე, „ზმნა-შემასმენელი წინადადების დედაძარღვია“ (კვაჭაძე, 1999, 69). რომელიც მწერალთან ხალხური, სასაუბრო ენის წიაღიდან მომდინარეობს და ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობით ფუნქციას ანიჭებს:

„დღედაღამ ყარყატივით ალაზანზე **დაგლაჯუნობს**“ (მრელაშვილი; 1987: 208);

„შუაზე ვჭრით ბაღს და თვალები **გვეხახება** აქეთ-იქით მიყრი-მოყრილ საზამთროებზე“ (მრელაშვილი; 1987: 209);

„ალავერდთან გუგულა **შემოგვხვდა: მოლაყუნობს** უდარდელად“ (მრელაშვილი; 1987: 209);

„მაგან **თუთქა** თოფი და **გააგორა**“ (მრელაშვილი; 1987: 210);

„ავად **სისინებს** ნიაგი სიმინდის ფოთლებში“ (მრელაშვილი; 1987: 212);

„**დაგელაობენ** ლიფსიტების გუნდები“ (მრელაშვილი; 1987: 232);

„ფაცერის ბოლოში მტკავლაინი მურწა **განაბულიყო**“ (მრელაშვილი; 1987: 232);

„ცაზე პირველი ვარსკვლავების კიაფი გორის იქიდან წამოსულმა ნისლმა **მოცელა**“ (მრელაშვილი; 1987: 237);

„შორს, ბნელში ჩაძირული ხეობის გაღმა, მთების უბეებში **კიაფობდნენ** კენტ-კენტად დანთებული ცეცხლები“ (მრელაშვილი; 1987: 237);

„მთელ ღამეს **ბორგავდა** მთებში მდინარე“ (მრელაშვილი; 1987: 240);

„ელვის ნამსხვრევები **ფხრეწდნენ** ცას და ქარი ისევ **ცელავდა** წვიმას“ (მრელაშვილი; 1987: 270);

„წვიმამ თითქმის გადაიღო და სიბნელეც **გაცრიატდა**“ (მრელაშვილი; 1987: 270).

ლადო მრელაშვილის პროზაში დიდი ოსტატობითაა შერჩეული ორიგინალური შესიტყვებები, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მწერლის ენაში. მსაზადვრელი სიტყვა მხატვრულ ღირებულებას იძენს საგანგებოდ შერჩეულ სახელთან, მოულოდნელობით ტვირთავს მას და ექსპრესიას მატებს:

„**მაწანწალა** ნიაგი ხანდახან ფრთას გაჰკრავს ნახევრად ღია სარკმელსა და ტანზე ჭიანჭველები დარბიან“ (მრელაშვილი; 1987: 212);

„არიქა, **ნამყენი კურდღელი**, ბიჭებო“ (მრელაშვილი; 1987: 228);

„ალაგ-ალაგ მორევებში **დაკარწახებული ბიჭები** დატატყუნობდნენ და ბადეს ისროდნენ“ (მრელაშვილი; 1987: 229);

„ერთი ბებერი, **დარბაისელი ცხენია**, აქამდე ძლივს ამოვიყვანეთ“ (მრელაშვილი; 1987: 233);

„ცხვარმა მალე მოძებნა თავისი **ღამის საყარი**“ (მრელაშვილი; 1987: 237);

„შრიალი, ჩუმი, **იდუმალი შრიალი** დგას ყურებში“ (მრელაშვილი; 1987: 237);

„მერე შიგადაშიგ მიაგნებს სარკმლებს და იქიდან მიკრავენ **მოჭიატე თვალებს**“ (მრელაშვილი; 1987: 237);

„ქარი ისევ დათარეშობდა ირგვლივითში, ელვის შუქზე დროდადრო კვეთდა **ირიზად გაბმული წვიმის გამჭვირვალე ლარებს**“ (მრელაშვილი; 1987: 270).

ლადო მრელაშვილის პროზის ენა ტროპული მეტყველების ნიმუშებითაც გამოირჩევა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია შედარება, მწერალი სხვადასხვა მაკავშირებლით (**-ვით, -ებრ, -ოდენა, თითქოს, როგორც** და სხვა.) ქმნის შესანიშნავ სახეებს და ემოციურად ტვირთავს სათქმელს. მწერლის ენაში ძირითადად სულიერი შედარებულია სულიერთან, უსულო - სულიერთან და სულიერი - უსულოსთან. შესადარებლად კი იყენებს სულიერ და უსულო საგანთა, მცენარეთა, ფრინველთა, ცხოველთა ამსახველ ლექსიკას. დაკვირვება ცხადყოფს, რომ მწერალთან მხატვრული შედარება სემანტიკურად მრავალფეროვანია:

„ბოლოს თვითონ მანქანა **ჯორივით** შეხტება და წავა“ (მრელაშვილი; 1987: 205);

„ყველა კარი გულაღმა დაცემულ **კუს ფეხივით** ეპარჩყება“ (მრელაშვილი; 1987: 205);

„თოფი მხარზე გადაუგდია, ერთი ხელით თასმა ჩაუბლუჭავს და მეორეს **ღირიჟორივით** იქნევს“ (მრელაშვილი; 1987: 207);

„მართალია, მასწავლებელია, მაგრამ ამ ახლომახლო თვალმრუდე და ხელმრუდე ხალხს ისე ეშინია მისი, **როგორც ცეცხლისა**“ (მრელაშვილი; 1987: 207);

„ჰა, გაიწი გვერძე, რა **სადორის ბოძოვითა** ხარ ძირგადგმული“ (მრელაშვილი; 1987: 209);

„შენ იჯექი მანდეთ, - **დასტამპოსოდენა** თვალებს მიბრიალებს კოლა“ (მრელაშვილი; 1987: 211);

„[ჭოტი] ისე კივის, **თითქოს შეთქმული შეთქმულს ეძახისო**“ (მრელაშვილი; 1987: 212);

„არც წინათ ყოფილა **ბამბის ქულასავით**, მაგრამ ახლა სახეზე ისეთი ფერი ადევს, **როგორც წყალში დიდი ხნის ნაგდებ რკინას**“ (მრელაშვილი; 1987: 217);

„...ოღონდ დამიწეროს და თუნდაც **ნუნუას ძაღლივით** მთელი დღე ვიყეფებ“ (მრელაშვილი; 1987: 225);

„[ცხენს] წყალში გავლებული ფერდები **კარაქწასმულივით** ულაპლაპებდა“ (მრელაშვილი; 1987: 227);

„უქუდო, მელოტი თავი გასისხლიანებოდა და მთელი ტანი **ხურვებაშეყრილივით** უცახცახებდა“ (მრელაშვილი; 1987: 228);

„ხევს გაღმა მწვანე ფერდობზე შეფენილი ცხვარი ისე მოჩანდა, **როგორც ცახზე - აბრეშუმის ჭიის პარკი**“ (მრელაშვილი; 1987: 243);

„ჰაიბ, თორღვაგ! ვიცი რისთვისაც ჩაცუცქებულხარ მანდ **წუწკი მეძებარივით** და ენამზეობ“ (მრელაშვილი; 1987: 254);

„ზეზვა რაღაცას ჰყვებოდა და ციცინოს კისკისი კლდეზე დაგორებული **კენჭის ხმასავით** ისმოდა ღამეში“ (მრელაშვილი; 1987: 257);

„ხელში მეჭირა მისი გრილი ხელი, ისე ნაზად მეჭირა, **როგორც ადრეულ ბაღლობაში ჯიხოლის ბღარტი**“ (მრელაშვილი; 1987: 260).

ლადო მრელაშვილის ენა ყურადღებას იპყრობს სემანტიკური თავისებურებით, სიტყვათქმნადობით, ამოუწურავი სიტყვათა მარაგით. მწერალს სიტყვათქმნადობის საფუძველზე შედგენილი აქვს სემანტიკურად და სტრუქტურულად განსხვავებული კომპოზიციები როგორც ფუძის გაორეცებით, ისე სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული თხზული სახელები:

„ჩვენი მანქანა **ფუთფუთით** მიგორდა იქამდე და დადგა“ (მრელაშვილი; 1987: 207);

„უცებ ბაგრატას **ნელ-ნელა** შემოეცალნენ დანარჩენები“ (მრელაშვილი; 1987: 207);

„თოფი კონდახით დავაბჯინე და ცალი ხელით **დოინჯშემოყრილმა** ძირს მრისხანე სახით ჩავიხედე“ (მრელაშვილი; 1987: 207);

„მართალია, მასწავლებელია, მაგრამ ამ ახლომახლო **თვალმრუდე და ხელმრუდე** ხალხს ისე ეშინია მისი, როგორც ცეცხლისა“ (მრელაშვილი; 1987: 207);

„**დროდადრო** უკან ვიხედები“ (მრელაშვილი; 1987: 212);

„**ძებორციელი** არ მიაკარო მანქანას, თორემ ალაზანში **თავდაყირა** გაბანავეთ“ (მრელაშვილი; 1987: 211);

„მაინც რამოდენა თავი აქვს მაგ **ღმერთგამწყრალს**“ (მრელაშვილი; 1987: 218);

„ათას **ჭირ-ვარამსა და ქარ-სეტყვაში** გამოჯგვილი მწყემსები უწვანან რიყესავით დაყრილ ფარას და **საცრისოდენათვალეზიანი** ბომბორა ძაღლები სამუქარო ღრენით გივლიან გარს“ (მრელაშვილი; 1987: 237);

„ან იქნებ იქამდე ძლიერ შორია და მისი ძებნით **მუხლმოჭრილი** მყუდრო სავანეს ირჩევ დილამდე“ (მრელაშვილი; 1987: 238);

„იპარავენ ავტომანქანებს, ატყუებენ **ზომა-წონაში**, ჩხუბობენ მთვრალეები და გვიან მოსულ მილიციას ჩაბლუჯული მიჰყავს **ცხვირპირდალეწილი დაზარალებული**“ (მრელაშვილი; 1987: 261);

უთუოდ მწერლისეული კომპოზიტი ჩანს: „**ხახამ-ტარხუნ-ჯან-ბალამ-ოხრახუმ-მაიორი**“ – „მე შენი **ხახამ-ტარხუნ-ჯან-ბალამ-ოხრახუმ-მაიორი** რა ვთქვა“ (მრელაშვილი; 1987: 211).

მწერლის ენაში დიდი ემოციური ძალისა და ექსპრესიული დატვირთვის მქონეა ხატოვანი სიტყვა-თქმანი, რომელიც მეტად პროდუქტიულ ერთეულს წარმოადგენს მხატვრული ტექსტის შესაქმნელად, ფრაზეოლოგიზმებით იგი ქმნის მხატვრულ პორტრეტებს, სადაც იგრძნობა მწერლის მახვილგონივრული იუმორი და სიბრძნე:

„დაწერა წერილი და იმ ექიმს **კუდზე ცოცხი მოაბეს**“ (მრელაშვილი; 1987: 208);

„გიორგის ეს გეგმა **ჭკუაში დაუჯდა**“ (მრელაშვილი; 1987: 208);

„გზაზე **სულიერი არ ჰაჰანებს**“ (მრელაშვილი; 1987: 211);

„ვეფქრობ ახლა კი **„ჟაჟს“ მომცემენ**“ (მრელაშვილი; 1987: 211);

„**სისხლი მეყინება** ძარღვებში“ (მრელაშვილი; 1987: 213);

„ღამეა, მაგრამ ხომ იცი, **ემშავს მაინც არ სძინავს**, ამოდენა გზაზე ვიღაც მაინც შეგხვდება“ (მრელაშვილი; 1987: 219);

„ახლა ყურმენი **თვალშია შესული**“ (მრელაშვილი; 1987: 219).

ცხადია, ლადო მრელაშვილის ენა მდიდარ, ქართულ-ხალხურ ლექსიკაზეა დაფუძნებული. იგი ხალხური ენის წიადიდან იღებს სათვეს და ნაირფეროვნებით ხასიათდება, რაც ენობრივ-სტილური მრავალფეროვნების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

ლიტერატურა:

1. ზვიადაძე, თ. (2009). მწერლის ენის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
2. კვაჭაძე, ლ. (1996). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი: თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“.
3. კოშორიძე, ე. (2005). მწერლის ენისა და სრილის საკითხები. გამომცემლობა „მერიდიანი“.
4. სანიკიძე თ. (1999). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
5. სანიკიძე, თ. სანიკიძე, ი. (2009). ქართული ენის სტილისტიკა. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.

საანალიზო წყარო:

1. ლადო მრელაშვილი - „იყალბოვლი ბიჭები“, „ოლოლები“, „სამი ღამის თავგადასავალი“ გამომცემლობა „ნაკადული“ თბ, 1987 წ.

Some linguistic and stylistic characteristics of Lado Mrelashvili "Adventures of Three Nights"

Pilashvili Elene

Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

The writer's purpose is to artistically reflect his contemporary life. He reflects reality and shares with us the spiritual world of the character through artistic and expressive forms and linguistic features.

The writer interests the reader with his folk, conversational vocabulary conveyed with great warmth and love in pithy, fluent sentences. His prose is characterized by tropes expressing psychological and emotional experiences and dialogic speech.

One of the distinctive features of Lado Mrelashvili's work "Adventures of Three Nights" is the abundance of verbs, which comes from the depths of the folk, colloquial language and gives the text an artistic and expressive function, sometimes bringing the verb-

predicate to a metaphor. „Scattered fires were burning in the mountain valleys“; „Lightning bolts were splattered across the sky and the wind was still whipping up the rain“.

In Lado Mrelashvili's prose, original phrases are skillfully selected: „wandering breeze“, „[*namkeni kurdgeli*]“, „sedate horse“, „[*dakvartsakhebuli bichebi*]“, „[*gamis sakari*]“, „mysterious rustling“ „shining eyes“ „Transparent obliquely stretched strings of rain“.

The writer's language is also distinguished by trope speech patterns, especially comparisons. The writer creates wonderful images and emotionally fills what is to be said, with various conjunctions (-vit, -ebr, (*meaning -like*), -odena, titkos, rogorc (*meaning so much, as if, as*) etc.).

Lado Mrelashvili's language attracts attention with its semantic peculiarities, word formation and inexhaustible vocabulary. Based on the word formation approach the writer composed semantically and structurally different composites obtained by both stem doubling and different stem combinations: „swarming“, „arms akimbo“, „[*tvalmrude*]“, „light-fingered“, „eyes as big as saucers“, „godless“, „with a bloody face“.

The writer's language is filled with figurative words and phrases that are highly emotional and expressive and represent a highly productive unit for creating a literary text. With phraseological units, he creates artistic portraits where the writer's witty humor and wisdom appear: „[*kudze tsotskhi miabes*]“, „is to smb's liking“ „there is not a soul“, „Satan does not sleep“.

It is obvious that the language of Lado Mrelashvili is based on the rich Georgian folk vocabulary. It originates in the depths of vernacular and is characterized by vast variety, which provides great opportunities for linguistic and stylistic diversity.

Key words: *Lado Mrelashvili, Linguistic Feature, Style, Original Phraseology, Figurative Language.*